ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2232821

ნომერი: AR1346964

თარიღი : 05.10.2015

გაცემის თარიღი : 21.10.2015

გაცნობის თარიღი : 22.10.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 51 / ქალაქი თბილისი , ქუჩა თევდორე მღვდელი , N 53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ამირან კოხოძე პ/ნ 09001005547
- თბილისი გრ.როზაქიძის გამზ. N 18 ბ. 30

ორგანიზაცია:
- დიდუბის რაიონის გამგეობა კოდი: 202171167

ნომენკლატურა :

- მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემა
- ქალაქ თბილისის თვითმართველი ერთეული

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR1346964 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

პირველ რიგში გაცნობებთ, წარმოდგენილი საპროექტო დოკუმეტნაციიდან ირკვევა, რომ საპროექტო ობიექტი არ განეკუთვნება III-IV კლასების სამუშაოებს, აქედან გამომდინარე საჭიროა ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების უფლებით და საკითხი დააყენოთ სწორად.

1.იმ შემთხვევაში თუ ტერიტორიაზე ხდება ხე–ნარგავების მოჭრა/გადარგვა, წარმოდგენილი უნდა იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, (კორპუსი) N51, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (მიწის ნაკვეთის საკ. კოდი: N01.13.04.019.024) მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის გაცემის შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალ იტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქოსამსახური გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული (ხე/ნარგავების დაკონკრეტებით) მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვას.
აქვე, დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის მოპოვების მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მ ერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში, უნდა წარადგინოთ შემდეგი სახის დოკუმენტაცია: ტერიტ ორიის ტოპოგრაფიული გეგმა მასზე დატანილიმწვანე ნარგავებით და აღნიშნული მწვანე ნარგავების აღწერილობა.

2.წარმოადგინეთ განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.განაცხადის შემადგენლობა -> .არქიტექტურული ობიექტის პროექტის pdf ფაილი: დოკუმენტაცია წარმოადგინეთ სრულყოფილი სახით. წარმოსადგენია განმარტებითი ბარათი, არსებული ტოპოგრაფიული გეგმა, შესაბამისად დამოწმებული დასკანირებული ვერსია, გენ-გეგმა, დასატანია საკაადსტრო საზღვრები. წარმოსადგენია ასევე ამხანაგობის კრების ოქმი (აღნიშნულ ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით).

4.წარმოდგენილი საპროექტო სიტუციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის თანახმად განთავსებულია საცხოვრებელი შენობა. აქედან გამომდინარე საჭიროა პირველ რიგში საკითხი დააყენოთ მიწის სამშენებლოდ გამოყნების პირობებში, კონკრეტულად კი განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებაზე.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ხარვეზებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge